

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლევან ბესელია

„თანდართული პათოლოგიებით მიმდინარე COVID – 19 – ის გამოსავალი  
ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში“

მედიცინის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი

მაია ცინცაძე

## შესავალი

### აქტუალობა

COVID-19-ის პანდემია, გამოწვეული მძიმე, მწვავე რესპირატორული სინდრომით, კორონავირუსი 2 (SARS-CoV-2) გაგრძელდა 2020 წლის მარტიდან 2023 წლის მაისამდე, დაინფიცირდა 689 მილიონზე მეტი ადამიანი. პანდემიამ გამოიწვია 6,9 მილიონი ადამიანის სიკვდილი მსოფლიოში. ჯანმო-ს მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევა - 1 855 289-ს შეადგენდა, მათ შორის გარდაცვლილია 17 132 პაციენტი.

კვლევებმა აჩვენა, რომ გამწვავებულმა ანთებითმა რეაქციამ (ციტოკინურმა ქარიშხალმა) შეიძლება პირდაპირ დააზიანოს ორგანოს ფუნქცია COVID-19 პაციენტებში ზომიერი და მძიმე დაავადების მქონე პაციენტებში, რაც იწვევს დეკომპენსაციას, ორგანოთა დისფუნქციას და სიკვდილს.

მძიმე დაავადების განვითარების პოტენციალის გათვალისწინებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პაციენტების პროგრესის სწრაფად შეფასებას.

დაავადების პროგრესირების შესაფასებლად აუცილებელია ბიოლოგიური მარკერების მუდმივი მონიტორინგი. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლინიკურ პრაქტიკაში, შეუძლიათ მიუთითონ სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის ევოლუციაზე და გამოიყენებინან როგორც ინდიკატორები პაციენტის მონიტორინგისთვის, რაც გავლენას ახდენს მკურნალობის გადაწყვეტილებებზე. ბიომარკერების დონის ცვლილებებმა შეიძლება მიუთითოს დაავადების პროგრესირებაზე, რაც მათ აქცევს ღირებულ ინსტრუმენტად კლინიკურ პრაქტიკაში მკურნალობის გადაწყვეტილებების წარმართვისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში (ICU) მიღების აუცილებლობის დასადგენად.

მრავალრიცხოვანმა კვლევამ ხაზი გაუსვა ზოგიერთი ბიომარკერის ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია COVID-19-ის პროგრესირებასთან, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში. ეს ბიომარკერები მოიცავს ლეიკოციტების რაოდენობას (WBC), C-რეაქტიულ ცილას (CRP), D-დიმერს, ინტერლეიკინ-6 (IL-6), ლაქტატდეჰიდროგენაზას (LDH), შარდოვანას და კრეატინინს, რაც მომატებულია. COVID-19 დაავადების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პროგნოზული მახასიათებლების გარკვეული როდენობა, ლეტალობის პრედიქტორების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. გამოსავლის რისკის ფაქტორების შესწავლა აუცილებელია, რათა მომავალში გაიზარდოს პანდემიისადმი მზადყოფნა.

COVID-19 ინფექციის არაკეთილსაიმედო გამოსავალი განსაკუთრებით ხშირად აღინიშნება თანმხლები დაავადებების მქონე პაციენტებში. თუმცა სხვადასხვა კვლევების შედეგების მიხედვით, COVID-19-ით სიკვდილის რისკი ასევე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პაციენტის ასაკზეც, რის გამოც ხანდაზმულობა და თანმხლები დაავადებები COVID-19-ით რისკ-ფაქტორებად იქნა მიჩნეული.

ხანდაზმული პაციენტები და პაციენტები ქრონიკული თანმხლები დაავადებებით, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადება, ჰიპერტენზია, დიაბეტი და ფილტვის დაავადება, ბევრად უფრო მიდრეკილნი არიან მძიმედ მიმდინარე COVID-19-ის განვითარების, დაავადების კრიტიკული და ფატალური შედეგებისკენ. ამ ასოციაციების დადგენამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს იმ მონაცემების გარკვევას, თუ რამდენად განსაზღვრავს COVID-19 ინფექცია ან უკვე არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობა პაციენტის სიკვდილს. ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ შესწავლილი და დაზუსტებული კორელაცია სიკვდილის მიზეზობრიობისა და განვითარების მექანიზმის, ასევე ფატალური შედეგის მქონე შემთხვევებში თანმხლები დაავადებების სპექტრის როლის შესახებ, რომელიც მოგვემდინარეობს COVID-19 ინფექციის სახიფათო ბუნების ზუსტი შეფასების და ფატალური შედეგების პროგნოზირების და თავიდან აცილების/პრევენციის საშუალებას.

**კვლევის მიზანი:** COVID - 19-ის მიმდინარეობისა და გამოსავლის შესწავლა თანდართული პათოლოგიების მქონე ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში.

აღნიშნული მიზნის შესასრულებლად დავისახეთ შემდეგი

**ამოცანები:**

COVID-19 ინფექციის მქონე ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში:

1. თანმხლები დაავადებების სიხშირისა და სტრუქტურის შესწავლა;
2. კორელაციების დადგენა კოვიდ-19-ის გართულებებსა და თანმხლებ დაავადებებს შორის;
3. ანთებითი მარკერების მგრძნობელობის, სპეციფიურობისა და არაკეთილსაიმედო შედეგის პროგნოზული ღირებულების დადგენა;
4. არაკეთილსაიმედო გამოსავლის ფარდობითი შანსის შეფასება;
5. COVID-19-ის გამოსავლის პროგნოზირება თანმხლები დაავადებების მქონე რეანიმაციულ პაციენტებში.

**სამეცნიერო სიახლე:**

პირველად საქართველოს პოპულაციაში

დადგინდა თანმხლები დაავადებების სტრუქტურა, სიხშირე და სიმძიმე კოვიდ-19-ის მქონე ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში.

განისაზღვრა ლაბორატორიული მახასიათებლების როლი კოვიდ-19-ის გამოსავალში თანმხლები დაავადებების მქონე რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებულ პაციენტებში.

სისხლის ანთებითი მარკერების მგრძნობელობა, სპეციფიურობა, დიაგნოსტიკური და პროგნოზული ღირებულება კოვიდ-19-ის გამოსავალში ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში.

არაკეთილსაიმედო გამოსავლის პრედიქტორები და თითოეული მათგანის ხვედრითი წილი;

**პრაქტიკული ღირებულება**

შრომის შედეგების საფუძველზე დამყარებული პრაქტიკული რეკომენდაციები გამოყენებული იქნება კოვიდ-19-ის გართულებების დროს და ხელს შეუწყობს ოპტიმალური მიდგომის შერჩევას ყოველი კონკრეტული პაციენტისათვის.

### **პუბლიკაციები**

დისერტაციის თემაზე დაბეჭდილია 4 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 1 საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში:

### **დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა:**

დისერტაცია მოიცავს 140 ნაბეჭდ გვერდს, შედგება შესავალის, ლიტერატურის მიმოხილვის, მასალისა და კვლევის მეთოდების აღწერის, საკუთარი კვლევის 4 თავის, მიღებული შედეგების განსჯის, დასკვნისა და პრაქტიკული რეკომენდაციებისაგან. ლიტერატურის სია შედგება 190 წყაროსაგან. ნაშრომი ილუსტრირებულია 12 ცხრილით და 24 დიაგრამით.

### **მასალა და მეთოდები**

რეტროსპექტულად გამოკვლეულ იქნა 270 რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებული კოვიდ 19-ის მქონე პაციენტი ქრონიკული დაავადებებით.

შესწავლილ იქნა: დემოგრაფიული მონაცემები, გადატანილი დაავადებები, ქრონიკული დაავადებები, ლაბორატორიული მახასიათებლები. **ჩართვის კრიტერიუმები:** ალ. ალადაშვილის სახ. კლინიკაში კოვიდ-19-ის დადასტურებული დიაგნოზის მქონე ჰოსპიტალიზებული პაციენტები, რომლებიც მოთავსებულნი იყვნენ რეანიმაციულ განყოფილებაში (2020-2023წწ პერიოდში)

### **გამორიცხვის კრიტერიუმები:**

კოვიდ-19-ის მსუბუქი შემთხვევები, თანმხლები დაავადებების არარსებობა, გამოყენებული იქნება ჩვენს მიერ შემუშავებული სტრუქტურირებული ანკეტა-კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პაციენტების:

✓ ანამნეზის,

- ✓ ექოსკოპიური, კარდიოგრაფიული, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევის შედეგების,
- ✓ კლნიკურ-ლაბორატორიული ანალიზების მონაცემების შესახებ(შემოსვლისას, 5 დღის შემდეგ, 10 დღის შემდეგ);
- ✓ მკურნალობის პერიოდის გართულებების
- ✓ ჩატარებული ოპერაციების შესახებ

### სტატისტიკური ანალიზი

რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებისას გამოვითვლით საშუალოს, საშუალო კვადრატულ გადახრას, ხოლი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის გამოთვლილი იქნა სიხშირე და პროცენტული მაჩვენებელი;

ჯგუფებს შორის განსხვავების სარწმუნობას რაოდენობრივი მაჩვენებლების შემთხვევაში დადგინდება სტუდენტის t კრიტერიუმის გამოყენებით, შედარებისას მოხდა დისპერსიების ტოლობის შეფასება ლევენის მიხედვით (Levene's Test), ხოლი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასება ჩატარდება – F(ფიშერის) კრიტერიუმით;

კორელაციები ხარისხობრივ ფაქტორებს შორის განისაზღვრა სპირმენის (Spearman) რანგული კორელაციის საშუალებით, ხოლო რაოდენობრივის შემთხვევაში - პირსონის კორელაციური ანალიზით;

ანთების მარკერების დიაგნოსტიკური ღირებულება დადგინდა ROC ანალიზის საშუალებით;

დიაგნოსტიკურ სიზუსტეს ვფასებდით მრუდის ქვემო არის მიხედვით(ცხრილი3.4.)  $57 \cdot 58$  • დიაგრამაზე ჰორიზონტალურად იზომება მგძნობელობა, ხოლო ვერტიკალურად 1-სპეციფიურობა. რაც მეტია მრუდის ქვემოთ ფართობი, მით მეტია ტესტის დიაგნოსტიკური ღირებულება. ტესტის დიაგნოსტიკური სიზუსტის მაჩვენებელი: Area diagnostic accuracy


0.9 – 1.0 საუკეთესო, 0.8-0.9 ძალიან კარგი, 0.7-0.8 კარგი, 0.6-0.7 დამაკმაყოფილებელი, 0.5-0.6 ცუდი, < 0.5 ტესტი არ არის სანდო

კოვიდ-19-ით ლეტალობის ფარდობითი შანსის შეფასება პრედიქტორებისათვის და რისკის დადგენა მოხდა მულიფაქტორული ბინარული რეგრესიის საშუალებით. განსხვავება ითვლება სარწმუნოდ, როდესაც  $p < 0.05$ . კლინიკური მასალის დამუშავება განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 23 –ის გამოყენებით.

### 3.2. კორელაციები ინიციალურ მახასიათებლებსა და გართულებებს შორის


კომორბიდების მქონე პაციენტების ინიციალური მახასიათებლები კორელირებენ კოვიდის გართულებებთან.

ჩვენს პაციენტებს შორის გამოვლენილი გართულებები მოცემულია დიაგრამა 3.2.1, 3.2.2 და 3.2.3-ზე.



დიაგრამა 3.2.1,


ფილტვისმიერი გართულებებიდან ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩევა სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ბაქტერიული პნევმონია და რესპირატორული დისტრესი.



დიაგრამა 3.2.2

ნევროლოგიური გართულებიდან გამოირჩეოდა ენცეფალოპათია

გართულებები გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ (%)



დიაგრამა 3.2.3



გულ-სისხლძარღვთ გართულებებს შორის პრევალირებდა პულმონური ჰიპერტენზია და სითხე პერიკარდიუმის ღრუში

სხვა გართულებები მოცემულია ცხრილ 3.2.1-ში.

ცხრილი 3.2.1

კოვიდის დროს გამოვლენილი გართულებები თანმხლები დავადებების მქონე პაციენტებში

	სგართულებები	N	%
	ლარინგიტი/ტრაქეიტი	1	0.37
	ციტოკინური შტორმი	85	31.48
შოკი	სეფსისი/სეპტიური შოკი	66	24.44
	შოკი დაუზუსტებელი	33	12.22
	ღვიძლის მწ.უკმარისობა	6	2.22
	თირკმლის მწ.უკმარისობა	31	11.48
	ჰიპერგლიკემია	8	2.96
ჰემატოლოგია	კოაგულოპათია	14	5.19
	ანემია	47	17.41
	ანტიკოაგულანტის ფონზე განვითარებული რბილი ქსოვილების ჰემატომა	6	2.22
	გასტროდუოდენალური სისხლდენა	9	3.33
	ემფიზემა (კანქვეშა)		
	საშარდე გზების ინფექცია	75	27.78

კოვიდ-19-ის გართულებები დაკავშირებულია პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებთან, ფილტვის ჰიპერტენზია ავლენს სარწმუნო დადებით კორელაციას გულის უკმარისობის ისტორიასთან და პულმონურ ჰიპერტენზიასთან. 65 წელზე უფროსი ასაკი დაკავშირებულია დაუზუსტებელ შოკთან; კიდურის არტერიის ემბოლია დაკავშირებულია გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან; მიოკარდიუმის ინფარქტი კორელაციაშია თირკმელების უკმარისობასთან, გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან, თირკმლის უკმარისობა - 65 წელზე უფროს ასაკთან, თირკმელების უკმარისობა, სეპტიური შოკი - 65 წლის ზემოთასაკტან და ჰიდროთორაქსთან.

ჰიპერგლიკემია დაკავშირებულია გულის უკმარისობასთან და გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან. ანემია - გულის მანკთან, ჰიდროთორაქსი - არტერიულ ჰიპერტენზიასთან

### **3.3. ლაბორატორიული მახასიათებლების შეფასება კოვიდ-19-ის დროს**

ჰემოგლობინის, ეოზინოფილის, ბაზოფილის, ლიმფოციტების საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ მცირდება - შემოსვლისას სარწმუნოდ მეტია, ვიდრე II და III ეტაპზე

ლეიკოციტი, მიელოციტი, მეტამიელოციტი, ეოზინოფილი, ბაზოფილი, ლიმფოციტი, TT, არაპირდაპირი, ბილირუბინი ლიმფოციტების, pO<sub>2</sub>-ს საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ იზრდება - შემოსვლისას სარწმუნოდ ნაკლებია, ვიდრე II და III ეტაპზე

ლაბორატორიული მახასიათებლები კორელირებენ ერთმანეთთან.

CRP-თან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს შემდეგი მახასიათებლები: PCT, D-dimer 3, LDH, Ferritin, კრეატინინი, შარდოვანა.

PCT-სთან: D-dimer, LDH, Ferritin, კრეატინინი, შარდოვანა, D-dimer-თან: LDH, კრეატინინი, შარდოვანა. Ferritin-თან: კრეატინინი, შარდოვანა; კრეატინინთან და საერთო ბილირუბინთან - შარდოვანა.

**3.4. ბიომარკერების დიაგნოსტიკური მახასიათებლების შეფასება კოვიდ-19-ის დროს.** ლეტალობის და გადარჩენილთა ჯგუფებში შევადარეთ სისხლის ბიომარკერები შემოსვლისას, შემოსვლიდან 5 დ 10 დღის შემდეგ (ცხრილი 3.4.1)

**ცხრილი 3.4.1. სისხლის ბიომარკერების შეფასება დინამიკაში**

ფაქტორი	შედგეი	N	Mean	StD	t	p
CRP შემოსვლი სას	ლეტალური	104	106.22	73.20	2.06	0.0409
	გაუმჯობესებული	159	87.26	72.99		
CRP-5 დღის შემდეგ	ლეტალური	96	91.78	71.12	4.07	0.0001
	გაუმჯობესებული	146	54.76	66.17		
CRP შემოსვლი დან 10 დღის შემდეგ	ლეტალური	100	119.69	81.17	11.73	<0.0001
	გაუმჯობესებული	131	27.10	34.73		
D-დიმერი შემოსვლი სას	ლეტალური	105	2731.52	4465.74	1.02	0.3077
	გაუმჯობესებული	162	2152.98	4594.50		
D-dimer – 5 დღის შემდეგ	ლეტალური	96	5457.65	14085.43	2.63	0.0090
	გაუმჯობესებული	158	2175.82	5364.72		
D-dimer 10 დღის შემდეგ	ლეტალური	103	3338.17	4151.24	6.88	<0.0001
	გაუმჯობესებული	162	941.24	1245.92		
ლეიკოციტი- შემოსვლი სას	ლეტალური	107	8.59	6.25	1.91	0.0566
	გაუმჯობესებული	161	7.39	4.00		
ლეიკოციტი-5 დღის შემდეგ	ლეტალური	97	11.18	5.61	3.62	0.0004
	გაუმჯობესებული	158	8.77	4.84		
ლეიკოციტი-10 დღის	ლეტალური	107	13.83	9.01	6.20	<0.0001
	გაუმჯობესებული	162	8.88	3.81		

შემდეგ						
LDH- შემოსვლი სას	ლეტალური	106	693.42	481.86	0.51	0.6104
	გაუმჯობესებული	163	666.62	303.71		
LDH-10 დღის შემდეგ	ლეტალური	96	856.56	357.49	5.91	<0.000 1
	გაუმჯობესებული	158	629.41	253.05		
LDH-10 დღის შემდეგ	ლეტალური	106	1044.99	682.72	8.88	<0.000 1
	გაუმჯობესებული	162	520.33	255.62		
Ferritin- შემოსვლი სას	ლეტალური	104	355.07	319.96	0.58	0.5658
	გაუმჯობესებული	162	331.36	340.26		
Ferritin-5 დღის შემდეგ	ლეტალური	95	629.46	675.99	3.69	0.0003
	გაუმჯობესებული	156	397.60	313.04		
Ferritin-10 დღის შემდეგ	ლეტალური	101	676.67	692.77	5.34	<0.000 1
	გაუმჯობესებული	161	353.73	261.74		
pO2- შემოსვლი სას	ლეტალური	107	71.01	31.03	-0.87	0.3875
	გაუმჯობესებული	163	74.18	26.75		
pO2 -5 დღის შემდეგ	ლეტალური	97	76.12	35.44	-2.00	0.0467
	გაუმჯობესებული	158	88.23	61.32		
pO2-10 დღის შემდეგ	ლეტალური	107	73.24	32.02	-3.34	0.0010
	გაუმჯობესებული	162	86.08	28.92		


როგორც ვხედავთ, საბოლოო შედეგის მიხედვით ლაბორატორიული მონაცემები სარწმუნოდ განსხვავდება მკურნალობიდან 5 და 10 დღის შემდეგ, ხოლო CRP-ის შემთხვევაში განსხვავება სარწმუნოა შემოსვლისასაც, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს მონაცემები შეიძლება წარმოადგენდეს ლეტალობის ერთ-ერთ პროგნოზულ ფაქტორს.

ლაბორატორიული მონაცემების მგრძობელობა და სპეციფიკურობა შემოსვლიდან 10 დღის შემდეგ მოცემულია დიაგრამაზე როკ-მრუდების


საშუალებით, დიაგრამაზე მრუდის ქვემოთ ფართობი წარმოდგენილია ცხრილი 1-ში.

დიაგრამაზე ჰორიზონტალურად იზომება მგმნობელობა, ხოლო ვერტიკალურად - 1-სპეციფიურობა. რაც მეტია მრუდის ქვემოთ ფართობი, მით მეტია ტესტის დიაგნოსტიკური ღირებულება.


ასევე, შემოსვლისას რაც უფრო მეტია მრუდის ქვემოთ ფართობი, მით უფრო სანდოა ტესტი




CRP




D დიმერი





ლეიკოციტები



po2



LDH



ლაქტატი

ფერიტინი

ტესტის ოპერაციული მახაიათებლები მოცემულია ცხრილში 3.4.2

ცხრილი 3.4.2 ტესტის ოპერაციული მახაიათებლების შეფასება

		ჭეშმარიტად დადებითი	ცრუ დადებითი	ცრუ უარყოფითი	ჭეშმარიტად უარყოფითი	Area Under the Curve	ზღვრული მიზნელობა
CRP	n	75	11	27	118	0.860+0.025	72
	%	32.03	5.19	14.72	48.05		
D დიმერი	n	84	39	19	123	0.794+0.029	951.5
	%	36.36	16.88	8.23	53.25		
ლეიკოციტები	n	66	34	41	128	0.752+0.031	10.8
	%	28.57	14.72	17.75	55.41		

Po2	n	138	53	25	54	0.665+0. 036	65.4
	%	51.11	19.63	9.26	20.00		
LDH	n	131	24	31	82	0.851+0. 025	601
	%	48.88	8.96	11.57	30.60		
ლაქტატი	n	61	13	46	149	0.794±0. 030	2.05
	%	22.68	4.83	17.10	55.39		
ფერიტინ ო	n	75	58	26	103	0.718±0 .033	357
	%	32.47	25.11	11.26	44.59		

ცხრილი 3.4.3-ში მოცემულია ტესტების დიაგნოსტიკური მახასიათებლები

ცხრილი 3.4.3 დიაგნოსტიკური მახასიათებლები

მონაცემ ო		მგრძნობ ელობა	სპეციფი ურობა	დადები თი შედეგი ს პროგნო ზული ღირებუ ლება	უარყოფ ითი შედეგი ს პროგნო ზული ღირებუ ლება	დიაგნოს ტიკური სიზუსტე
CRP	მნიშვნე ლობა	<b>0.685</b>	<b>0.902</b>	<b>0.860</b>	<b>0.766</b>	<b>0.801</b>
	95%CI	<b>0.598</b> <b>0.773</b>	<b>0.850</b> <b>0.955</b>	<b>0.787</b> <b>0.934</b>	<b>0.697</b> <b>0.834</b>	<b>0.749</b> <b>0.852</b>
D დიმერი	მნიშვნე ლობა	<b>0.816</b>	<b>0.759</b>	<b>0.683</b>	0.866	<b>0.781</b>
	95%CI	<b>0.741</b> <b>0.890</b>	<b>0.693</b> <b>0.825</b>	<b>0.601</b> <b>0.765</b>	<b>0.810</b> <b>0.922</b>	<b>0.731</b> <b>0.831</b>
ლეიკოც იტები	მნიშვნე ლობა	<b>0.617</b>	<b>0.790</b>	<b>0.660</b>	0.757	<b>0.721</b>
	95%CI	<b>0.525</b> <b>0.709</b>	<b>0.727</b> <b>0.853</b>	<b>0.567</b> <b>0.753</b>	<b>0.693</b> <b>0.822</b>	<b>0.668</b> <b>0.775</b>
Po2	მნიშვნე	<b>0.847</b>	<b>0.505</b>	<b>0.723</b>	0.684	<b>0.711</b>

	ლობა					
	95%CI	<b>0.791</b>	<b>0.410</b>	<b>0.659</b>	<b>0.581</b>	<b>0.657</b>
		<b>0.902</b>	<b>0.599</b>	<b>0.786</b>	<b>0.786</b>	<b>0.765</b>
LDH	მნიშვნელობა	<b>0.809</b>	<b>0.774</b>	<b>0.845</b>	0.726	<b>0.795</b>
	95%CI	<b>0.748</b>	<b>0.694</b>	<b>0.788</b>	<b>0.643</b>	<b>0.746</b>
		<b>0.869</b>	<b>0.853</b>	<b>0.902</b>	<b>0.808</b>	<b>0.843</b>
ლაქტატი	მნიშვნელობა	<b>0.570</b>	<b>0.920</b>	<b>0.824</b>	0.764	<b>0.781</b>
	95%CI	<b>0.476</b>	<b>0.878</b>	<b>0.738</b>	<b>0.705</b>	<b>0.731</b>
		<b>0.664</b>	<b>0.962</b>	<b>0.911</b>	<b>0.824</b>	<b>0.830</b>
ფერიტინი	მნიშვნელობა	<b>0.743</b>	<b>0.640</b>	<b>0.564</b>	0.798	<b>0.679</b>
	95%CI	<b>0.657</b>	<b>0.566</b>	<b>0.480</b>	<b>0.729</b>	<b>0.623</b>
		<b>0.828</b>	<b>0.714</b>	<b>0.648</b>	<b>0.868</b>	<b>0.736</b>

შემოსვლიდან მე-10 დღეს ძალიან კარგი მგძნობელობით ხასიათდება: D დიმერი, LDH და Po2, კარგით - ფერიტინი, დამაკმაყოფილებელით - CRP, ლეიკოციტები, ცუდით ლაქტატი.

საუკეთესო სპეციფიურობა გააჩნია CRP-ს, ლაქტატს, კარგი - D დიმერს, ლეიკოციტებს, LDH-ს, დამაკმაყოფილებელი - ფერიტის, ცუდი - Po2-ს, შესაბამისად, დადებითი შედეგის პროგნოზული ღირებულება: ძალიან კარგი - CRP, LDH, ლაქტატი; კარგი- Po2; დამაკმაყოფილებელი - D დიმერი, ლეიკოციტები; ცუდი - ფერიტინი.

უარყოფითი შედეგის პროგნოზული ღირებულება: ძალიან კარგი - D დიმერი, ლაქტატი, კარგი - ლეიკოციტები, LDH, ფერიტინი; დამაკმაყოფილებელი - Po2.

როგორც ვხედავთ, კოვიდის დროს ბოლო ეტაპზე დიაგნოსტიკური სიზუსტე: CRP, LDH - ძალიან კარგი, D დიმერი, ლეიკოციტები, ლაქტატი, Po2 - კარგი, ფერიტინი- დამაკმაყოფილებელი.

CRP ტესტის მგრძნობელობა საშუალოა, ხოლო სპეციფიურობა ძალიან მაღალი, დადებითი და უარყოფითი



შედეგის პროგნოზული ღირებულება, ისევე როგორც დიგნოსტიკური სიზუსტე მაღალია.

D დიმერის მგრძნობელობა და სპეციფიკურობა შემოსვლიდან 10 დღის შემდეგ მოცემულია დიაგრამებზე როკ-მრუდების საშუალებით, დიაგრამაზე მრუდის ქვემოთ ფართობი ეტაპების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილი 2-ში

მრუდის ქვემო ფართობის მნიშვნელობა მიუთითებს კარგ სადიაგნოსტიკო ღირებულებაზე

pO2 კოვიდ -19 პაციენტებში ლეტალობის პროგნოზისათვის გამოირჩევა კარგი მგრძნობელობით და ძალიან მცირე სპეციფიურობით, ამდენად მისი გამოყენება, როგორც დამოუკიდებელი პრედიქტორის, მიზანშეწონილი არ არის.

### 3.5. ლეტალობის ფაქტორების შეფასება პაციენტის ინციალური მახასიათებლების მიხედვით

ლეტალობის ფაქტორების შესაფასებლად პაციენტები შედეგის მიხედვით გავყავით ორ ჯგუფად: 1 ჯგუფი - ლეტალური შედეგით, 2 ჯგუფი გაუმჯობესება/გამოჯანმრთელება.

3.5. 1 ცხრილში მოცემულია პაციენტთა განაწილება დემოგრაფიული მახასიათებლებისა და მავნე ჩვევების მიხედვით.

ცხრილი 3.5.1. პაციენტთა განაწილება დემოგრაფიული მახასიათებლებისა და მავნე ჩვევების მიხედვით.

		ლეტალობა		გაუმჯობესება		F	p
		n	%	n	%		
სქესი	მდედრობითი	59	55.14	92	56.44	0.04	0.8339
ასაკი	65 წ.სზევით	86	80.37	90	55.21	19.1	<0.000
						6	1
მავნე ჩვევები	ნიკოტინი	28	26.17	49	30.06	0.48	0.4901
	ალკოჰოლი	5	4.67	3	1.84	1.80	0.1807

ნარკოდამოკიდებულება	0	0.00	1	0.61	0.66	0.4188
---------------------	---	------	---	------	------	--------

როგორც ცხრილიდან ჩანს, სქესის მიხედვით განსხვავება არ გამოვლინდა, ლეტალობის ჯგუფში სარწმუნოდ მაღალია 65 წელზე უფროსი პაციენტების სიხშირე.

მნიშვნელოვანია განსხვავება თანმხლები დაავადებების მიხედვით (ცხრილი 3.5.2).

ცხრილი 3.5.2. ლეტალობის შეფასება თანმხლები დაავადებების მიხედვით

ფაქტორები	ლეტალობა		გაუმჯობესება		F	P
	n	%	n	%		
გულის უკმარისობა	58	54.21	54	33.13	12.27	0.0005
გადატანილი MI	31	28.97	26	15.95	6.69	0.0102
პულმონური ჰიპერტენზია	35	32.71	17	10.43	22.16	<0.0001
არტერიული ჰიპერტენზია	102	95.33	137	84.05	8.27	0.0043
გულის მანკი	44	41.12	48	29.45	3.95	0.0480
ჰიდროთორაქსი	37	34.58	26	15.95	13.04	0.0004
თირკმლის უკმარისობა	13	12.15	9	5.52	3.82	0.0518

ორივე ჯგუფში მაღალია იმ პაციენტთა სიხშირე, რომელთაც ანამნეზში აღენიშნებოდათ კარდიოლოგიური დაავადებები. მათგან ლეტალური გამოსავლის ჯგუფში სარწმუნოდ მაღალია: გულის უკმარისობის, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტის, პულმონური ჰიპერტენზიის, არტერიული ჰიპერტენზიის, გულის მანკის სიხშირე, არასარწმუნოდ მეტია - სტენოკარდია. ლეტალობის ჯგუფში სარწმუნოდ დაბალია განდევნის ფრაქციის საშუალო მნიშვნელობა გადარჩენილებთან შედარებით, შესაბამისად -  $EF\% = 50.85 \pm 8.57$ , -  $48.28 \pm 9.45$  ( $t=2.31$ ;  $p=0.0216$ ).

პულმონოლოგიური დაავადებებიდან ანამნეზში პრევალირებდა ფქოდი, და ჰიდროთორაქსი. ამასთან, ჰიდროთორაქსის სიხშირე მაღალი იყო ლეტალობის ჯგუფში.

ენდოკრინული პათოლოგიებიდან ორივე ჯგუფში გამოიკვეთა დიაბეტის თანაბრად მაღალი სიხშირე. (30%-ზემეტი) აღსანიშნავია ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისა და სიმსუქნის არასარწმუნო პრევალირება ლეტალობის ჯგუფში, თირკმლის დაავადებებიდან არასარწმუნოდ მეტია თირკმლი სუკმარისობა.

სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა ონკოლოგიური და ნევროლოგიური დაავადებების, აგრეთვე **გასტროენტეროლოგიური, ფსიქიატრიული და ჰეპატოლოგიური დაავადებების** მიხედვით.

ამრიგად, კოვიდის დროს ჰოსპიტალურ ლეტალობაზე გავლენას ახდენს პაინტის ინიციალური მახასიათებლები: მავნე ჩვევები და თანმხლები დაავადებები.

### 3.6. მკურნალობის პერიოდის გართულებების გავლენა ლეტალობაზე კოვიდ-19-ის დროს

კვლევის შემდეგ ეტაპზე შევისწავლეთ მკურნალობის გართულებები ორივე ჯგუფში.

#### ცხრილი 3.6.1. მკურნალობის პერიოდის გართულებები

ფაქტორები	ლეტალობა		გამუჯობება		F	p
	n	%	n	%		
შოკი დაუზუსტებელი	29	27.10	4	2.45	42.00	<0.0001
ქვ. ან ზემო კიდურების არტერიის ემბოლია	4	3.74	0	0.00	6.28	0.0128
მიოკარდიუმის ინფარქტი	10	9.35	3	1.84	8.12	0.0047
თირკმლის მწ.სუკმარისობა	29	27.10	3	1.84	45.87	<0.0001
სეფსისი სეპტიურიშოკი	59	55.14	7	4.29	134.9 4	<0.0001
გასტროდუოდენალურისის ხლდენა	8	7.48	1	0.61	9.71	0.0020
ჰიპერგლიკემია	6	5.61	2	1.23	4.35	0.0380
ჰულმონურიჰიპერტენზია	7	6.54	2	1.23	5.74	0.0173
ანემია	30	28.04	18	11.04	13.30	0.0003
კოაგულოპათია	10	9.35	3	1.84	8.12	0.0047
სპონტანური	4	3.74	0	0.00	6.28	0.0128

პნევმოთორაქსი						
ჰიდროთორაქსი	47	43.93	39	23.93	12.36	0.0005

პაციენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას ჰქონდა სუნთქვის მწვავე უკმარისობა(98% და მეტი), რესპირატორული დისტრესი (66% დამეტი) და ციტოკინური შტორმი(28% და მეტი)

შედარებამ ლეტალურ გამოსავალსა და გამოჯანსაღებულ პაციენტებს შორის აჩვენა, რომ პაციენტთა შორის საჩუმუნო განსხვავებაა შემდეგი გართულებების მიხედვით:

დაუზუსტებელი შოკი, ქვ. ან ზემოკიდურების არტერიის ემბოლია, მიოკარდიუმის ინფარქტი, თირკმლის მწ. უკმარისობა, გასტროდუოდენალური სისხლდენა, ჰიპერგლიკემია, პულმონური ჰიპერტენზია, ანემია, კოაგულოპათია, სპონტანური პნევმოთორაქსი, ჰიდროთორაქსი

მკურნალობის დროს ჩატარებული მანიპულაციები და ოპერაციები მოცემულია 3.6.2 ცხრილში

**ცხრილი 3.6.2. მკურნალობის პერიოდის ჩატარებული მანიპულაციები და ოპერაციები**

ფაქტორები	ლეტალობა		გაუმჯობესება		F	p n
	n	%	N	%		
პლევრის დრენირება	12	11.21	5	3.07	7.41	0.0069
ფ.ხ.ვ.	98	91.59	16	9.82	510.58	<0.0001
ჩატარებული კორონარული ანგიოპლასტიკა (სტენტირება)	5	4.67	0	0.00	7.93	0.0052
ჩატარებული ჰემოტრანსფუზია	25	23.36	11	6.75	16.25	0.0001
ტრაქეოსტომია	10	9.35	3	1.84	8.12	0.0047
ბრონქოსკოპია	43	40.19	10	6.13	57.18	<0.0001
ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია -ლიგირება/აპლიკაცია	6	5.61	2	1.23	4.35	0.0380

მაღალნაკადური ოქსიგენაცია HF და არაინვაზიური CPAP დასჭირდა პაციენტთა უმრავლესობას ორივე ჯგუფში, ფხვ-ს და პლევრის დრენირების სიხშირე სარწმუნოდ მაღალი იყო ლეტალობისჯგუფში, ისევე როგორც კორონაროგრაფია, ჩატარებული კორონარული ანგიოპლასტიკა (სტენტირება), ჩატარებული ჰემოტრანსფუზია, ტრანქეოსტომია, ბრონქოსკოპია, ეზოფაგო/გასტროდუოდენოსკოპია -ლიგირება/აპლიკაცია

პაციენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას ჰქონდა სუნთქვის მწვავე უკმარისობა(98% და მეტი), რესპირატორული დისტრესი(66% დამეტი) და ციტოკინური შტორმი(28% და მეტი)

შედარებამ ლეტალურ გამოსავალსა და გამოჯანსაღებულ პაციენტებს შორის აჩვენა, რომ პაციენტთა შორის სარწმუნო განსხვავებაა შემდეგი გართულებების მიხედვით:

დაუზუსტებელი შოკი, კიდურების არტერიის ემბოლია, მიოკარდიუმის ინფარქტი, თირკმლის მწ.უკმარისობა, გასტროდუოდენალური სისხლდენა, ჰიპერგლიკემია, პულმონური ჰიპერტენზია, ანემია, კოაგულოპათია, სპონტანური პნევმოთორაქსი, ჰიდროთორაქსი

ლეტალობის ჯგუფში გამოჯანმრთელებულებთან შედარებით სარწმუნოდ ნაკლებია:ჰემოგლობინი, თრომბოციტი, ლიმფოციტი, მონოციტი, პროთრომბინისინდექსი, pH, pO2, SO2, სარწმუნოდ მეტია: მეტამიელოციტი, ჩხირბირთვიანი, ედსი, აქ.პარც.თრომბოპლ. დრო, ფიბრინოგენისრ-ბა, შარდოვანა, კრეატინინი, გლიკემია, CRP, PCT, ,D-dimer, LDH, Ferritin, Na, K, CL, Lac, pCO2.

**3.7..გადარჩენის ალბათობის შეფასება თანმხლები პათოლოგიების მქონე რენიმაციულ პაციენტებში**

კვლევს შემდეგ ეტაპზე ჩავატარეთ რეგრესიული ანალიზი, დამოუკიდებელ პრედიქტორებად ავიღეთ მონაცემები, რომელთა სიხშირე სარწმუნოდ განსხვავდება ლეტალობისა და კეთილსაიმედო შედეგის ჯგუფში (გრაფიკი 1).

ცხრილი 3.7.1. გაუმჯობესების პროგნოზული მახასიათებლები მძიმე კოვიდ-19-ის დროს

	B	S.E.	Wald	p	OR	95% C.I.for OR
--	---	------	------	---	----	----------------

CRP	-0.02	0.01	8.43	0.0037	0.98	0.97	0.99
pO2	0.03	0.01	6.63	0.0100	1.03	1.01	1.06
ჰიდროტორაქსი	-1.44	0.71	4.14	0.0418	0.24	0.06	0.95
სეფსისი/სეპტიური შოკი	-2.61	0.85	9.38	0.0022	0.07	0.01	0.39
WBC	-0.16	0.07	4.45	0.0348	0.86	0.74	0.99
ფხვ	-4.38	0.70	39.24	<0.0001	0.01	0.00	0.05
Constant	3.47	1.34	6.72	0.0095	32.06		

გადარჩენის ალბათობა შეგვიძლია შევაფასოთ შემდეგნაირად

$$Z=3.47-0.02* X1+0.03*X2-1.44* X3-2.61* X4-0.16* X5-4.38* X6 \quad (1)$$

$$P=1/(1+e^{-z}) \quad (2)$$

პროგნოზის გამოსათვლელად განვსაზღვრავთ რისკის ფაქტორს, თუ სუბიექტს აქვს პროგნოზული ფაქტორი, განტოლებაში ჩავსვამთ 1, თუ არა, 0.თუ მიღებული შედეგები უნდა ჩავსვათ ფორმულა 2-ში, მივიღებთ გადარჩენის ალბათობას

**დასკვნები:**

1. კოვიდ-19ის მქონე რეანიმაციულ პაციენტებში **კარდიოლოგიური დაავადებების სიხშირე. მათგან ლეტალური გამოსავლის ჯგუფში** სარწმუნოდ მაღალია: გულის უკმარისობის, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტის, პულმონური ჰიპერტენზიის, არტერიული ჰიპერტენზიის, გულის მანკის სიხშირე, არასარწმუნოდ მეტია - სტენოკარდია. ლეტალობის ჯგუფში სარწმუნოდ დაბალია განდევნის ფრაქციის საშუალო მნიშვნელობა გადარჩენილებთან შედარებით, შესაბამისად -  $EF\%=50.85+8.57, - 48.28\pm 9.45$  ( $t=2.31; p=0.0216$ ).

პულმონოლოგიური დაავადებებიდან ანამნეზში პრევალირებდა ფქოდი, და ჰიდროთორაქსი. ამასთან, ჰიდროთორაქსის სიხშირე მაღალი იყო ლეტალობის ჯგუფში.

თანდრთული პათოლოგიების მქონე პაციენტების შორის ლეტალობის ჯგუფში გამოჯანმრთელებულებთან შედარებით სარწმუნოდ მაღალია შემდეგი გართულებების სიხშირე: დაუზუსტებელი შოკი, კიდურების არტერიის ემბოლია, მიოკარდიუმის ინფარქტი, თირკმლის მწ.უკმარისობა, გასტროდუოდენალური სისხლდენა, ჰიპერგლიკემია, პულმონური ჰიპერტენზია, ანემია, კოაგულოპათია, სპონტანური პნევმოთორაქსი, ჰიდროთორაქსი; ლეტალობის ჯგუფში გამოჯანმრთელებულებთან შედარებით სარწმუნოდ ნაკლებია:ჰემოგლობინი, თრომბოციტი, ლიმფოციტი, მონოციტი, პროთრომბინისინდექსი, pH, pO<sub>2</sub>, SO<sub>2</sub>, სარწმუნოდ მეტია: მეტამიელოციტი, ჩხირბირთვიანი, ედსი, აქ.პარც.თრომბოპლ. დრო, ფიბრინოგენისრ-ბა, შარდოვანა, კრეატინინი, გლიკემია, CRP, PCT, ,D-dimer, LDH, Ferritin, Na, K, CL, Lac, pCO<sub>2</sub>.

2. კოვიდ-19-ის გართულებები დაკავშირებულია პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებთან, ფილტვის ჰიპერტენზია ავლენს სარწმუნოდ დადებით კორელაციას გულის უკმარისობის ისტორიასთან და პულმონურ ჰიპერტენზიასთან. 65 წელზე უფროსი ასაკი დაკავშირებულია დაუზუსტებელ შოკთან; კიდურის არტერიის ემბოლია დაკავშირებულია გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან; მიოკარდიუმის ინფარქტი კორელაციაშია თირკმელების უკმარისობასთან, გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან, თირკმლის უკმარისობა - 65 წელზე უფროს ასაკთან, თირკმელების უკმარისობა, სეპტიური შოკი - 65 წლის ზემოთასაკტან და ჰიდროთორაქსთან. ჰიპერგლიკემია დაკავშირებულია გულის უკმარისობასთან და გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან. ანემია - გულის მანკთან, ჰიდროთორაქსი - არტერიულ ჰიპერტენზიასთან
3. C რექტიული ცილა, d დიმერი, ლეიკოციტების მნიშვნელობა, ლაქტატი და LDH შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ლეტალობის დამოუკიდებელი მარკერები კოვიდ-19-ის მქონე თანდართული დაავადებების მქონე პაციენტებში.

4. კოვიდ-19-ის მქონე პაციენტებში გადარჩენის ფარდობით შანსს ამცირებს: CRP - OR=0.98(95% CI: 0.97-0.99) , WBC - OR=0.86(95%CI: 0.74-0.99); ჰიდროთორაქსი - OR=0.24(95% CI: 0.06-0.95), სეფსისი/სეპტიური შოკი - OR=0.07(95% CI: 0.01-0.39), ფილტვების მექანიკური ვენტილაცია- OR=0.01(95% CI: 0.00- 0.05) და ზრდის pO<sub>2</sub>- OR=1.03(95% CI: 1.01-1.06)

### პრაქტიკული რეკომენდაციები

1. ბიომარკერების, როგორც კლინიკური გადაწყვეტილების მხარდაჭერის ინსტრუმენტის როლის გააზრება საშუალებას მისცემს COVID-19 შემთხვევების ადრეულ კლასიფიკაციას, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ზრუნვას მათი პროგნოზული რისკის მიხედვით.
2. აუცილებელია ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენება კლინიკური გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად და რისკის ქვეშ მყოფი პაციენტებისთვის რესურსების დროული განაწილებისთვის. ბიოქიმიური და ჰემატოლოგიური მარკერების პროგნოზული მნიშვნელობის შეფასებას პაციენტებში, აქვს პოტენციური გამოიყენოს ადრეულ ბიომარკერად COVID-19 პაციენტების მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად, მაღალი რისკის მქონე პაციენტების იდენტიფიცირებისა და ჯანდაცვის რესურსების შესაბამისი განაწილებისათვის პანდემიის დროს, მძიმე კლინიკური სიმპტომებით, რომლებიც დაკავშირებულია სიკვდილიანობასთან COVID-19-ით.
3. კლინიკურ პრაქტიკაში უპირველესი საზრუნავია დაავადების შესაძლო პროგრესირების ადრეული იდენტიფიცირება და დროული თერაპიული ჩარევების ჩატარება.



**Davit Agmashenebeli University of Georgia**

**Copyright of the manuscript**

**Levan Beselia**

**"The outcome of ongoing COVID-19 with accompanying pathologies in hospitalized patients"**

**Dissertation submitted for obtaining the scientific degree of Doctor of Medicine**

**Autoabstract**

**Head Assoc. Professor**

**Maya Tsintsadze**

**2024**

## Introduction

### relevance

The COVID-19 pandemic, caused by severe acute respiratory syndrome coronavirus 2 (SARS-CoV-2), lasted from March 2020 to May 2023, infecting more than 689 million people. The pandemic has killed 6.9 million people worldwide. According to WHO data, the number of confirmed cases of coronavirus in Georgia was 1,855,289, among them 17,132 patients died.

Studies have shown that an exacerbated inflammatory response (cytokine storm) can directly impair organ function in COVID-19 patients with moderate to severe disease, leading to decompensation, organ dysfunction, and death.

Given the potential for severe disease, rapid assessment of patients' progress is critical.

